



არ შემოტანილა, რაც ახლად გაქსნებულა გირაოს დასახელებით, და რაც გარდახდილა, ან წინა წლიდან გარდაუხდელი დარჩენილა.

შენიშვნა 1-ლი. მითითებული აქ მოხსენიებული სტატია ცალკე-ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები და შეერთებული არ უნდა იყოს მეორესთან.

შენიშვნა 2-რე. ციფრების შეცდომით ჩვენებისათვის ანგარიშში და ბალანსში პასუხის მგებელი არიან გამგეობის წევრნი, რომელთაც ამ ანგარიშზე და ბალანსზე ხელი მოუწერიათ.

§ 87. ბანკის გამგეობა წარუდგენს წლის ანგარიშს განსახილველად და დასამტკიცებლად ზედამხედველს კომიტეტს, რომელიც ამ ანგარიშის საშუალებით ეკონომიკის საკუთრის მოსაზრებითურთ წარუდგენს საცნობლად ფინანსთ-მინისტერს.

§ 88. წლის ანგარიში და ზედამხედველის კომიტეტის გარდაწყვეტილებანი უნდა გამოცხადდენ § 15 მუხლში დასახელებულს გაზეთებში.

§ 89. შოველ წლობით ანგარიშს გარდა, გამგეობა აცხადებს ბანკის საფინანსო ბალანსს ექვს თვეში ერთხელ და ექვსი კვირით წინ ნახევარის წლის გათავებამდის.

თავი IX

შემონახული თავნი

91. შემონახული თავნი შესდგება იმ ფულისაგან, რომელიც აპისათვის თავდაზნაურებს შეუტანია § 82, 12 ჯ. თანახმად და ნაღდი მოგების ნაწილისაგან, რომელიც ყოველ წლივ § 90 თანახმად გადიდება.

ეს თავნი დანიშნულია: 1) გირაოს ფურცლებში და კუპონებში ვადაზღვარდასახადის, დასაკმაყოფილებლად ავანსიით, თუ ეინიცობა სესხის ამღებლებმა ვადაზღვდ შესატანი ფული დაგვიანეს, და 2) ბანკის ნაზარალების შესახებ (§ 23).

§ 92. შემონახული თავნი უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში მფილისს, ანუ სახელმწიფო სარგებლიან ქალაქებში.

§ 93. შემონახულის თავნისათვის ნაღდი მოგების ნაწილის გარდადება უნდა მოიპოსოს, როდესაც ეს თავნი მრთელის დასაფუძნებელის თავნის მესამედი გახდება. თუ შემონახულის თავნისაგან იმდენი დაიხარჯა, რომ ეს თავნი დასაფუძნებელის თავნის მესამედ ზედ ნაკლები შეიქმნა, მაშინ ნაღდის მოგებისაგან ხელახლად უნდა გადაიდეს დაწესებული ნაწილი, სანამდის ამით შემონახულის თავნს აღნიშნული ზომა არ მიეცემა.

თუ რომლისავე წლის განმავლობაში ბანკის ზარალის დასაკმაყოფილებლად მთელი შემონახული თავნი და ამას გარდა დასაფუძნებელის თავნის ნაწილი დაიხარჯა, მაშინ შემდეგ წლებში, სანამდის დასაფუძნებელი თავნი წინანდელს ზომაზედ თავს არ მოიყრის, რაც ფული, § 90 მუხლის საფუძკლით, შემონახულის თავნს უნდა მიმატებოდა, და დაფუძნებელს თავნს უნდა შეუერთდეს.

თავი X

ბანკის მოქმედებათა მოსპობა.

§ 94. თუ ზარალის გამო ბანკის დასაფუძნებელი თავნი იმდენად შემცირდა, რომ მუშაობაში მყოფის გირაოს ფურცლების მეთედზედ ნაკლები შეიქმნა, მაშინ ბანკი ვალდებულია მოსპოს თავის მოქმედება და ანგარიშები გასწმინდოს. ამას გარდა ბანკის მოქმედება შეიძლება ყოველთვის მოსპობილ იქმნეს საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით, თუ რომ ამ კრებაზედ ყველა დაფუძნებელი თავდაზნაურთ ნახევარი დაეწერა (§ 1), და გარდაწყვეტილება § 83 მუხლის თანახმად ორმა მესაღმა უმრავლესობამ მიიღო.

§ 95. იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკის

საქმეები წინა მუხლის ძლით უნდა მოიპოსოს, საზოგადო კრება, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებით, დანიშნავს ერთს ან რამდენსავე მმართველს და განსაზღვრავს, თუ რა რიგით უნდა მოხდეს ბანკის ანგარიშების გაწმენდა, კანონ-კრების X ტომის 1 ნაწ. 2188 მუხლის თანახმად. ამასთანავე დატული უნდა იყოს ის კანონი, რომ ბანკის დახურვით არავითარს შემთხვევაში არ დატეულ იქმნენ ვალდებულებანი, რომელიც ბანკს მესამე პირთ წინაშე უკისრია, მაგ. გირაოს ფურცლების გამოსყიდვა და იმათი სარგებლის გარდახდა წესდებაში განსაზღვრულის რიგით.

მმართველების დანიშნისათანავე მოიპოსება ყოველივე უფლება და ვალდებულება ბანკის გამგეობისა, და ზედამხედველის კომიტეტისა და საზოგადო კრების უფლებასკი ძალა ექნებათ ანგარიშების გაწმენდის დროსაც. საზოგადო კრება ამტკიცებს ვალდების გასაწმენდს ანგარიშებს, და ანგარიშის კვიტაციების დარიგებას ზედამხედველს კომიტეტს მიანდობს.

შენიშვნა. იმ ფულების დარიგების დროს, რომელიც შეიძლება ანგარიშის გაწმენდის შემდეგ დარჩეს და რომელიც უნდა განაწილდეს ბანკის დასარსებელად შეტანილის ფულების შეფარდებით, უმალდესად ნაბოძდვის თავნის (160,000 მ.) სახვედრი კუთვნილებისამებრ ხაზინას უნდა დაუბრუნდეს.

თავი XI

საზოგადო დაწესებანი

§ 96. თუ ეინიცობაა, ამ წესდების ასრულების დროს რაიმე განუმარტებლობა აღმოჩნდა, ზედამხედველის კომიტეტის წარდგინებით ფინანსთ მინისტერმა უნდა გარდაწყვიტოს.

§ 97. შოველს იმ შემთხვევაში, რომლისაც გარდაწყვეტა წესდების ძლით არ მოხერხება, ბანკი ვალდებულია დაემორჩილოს საზოგადო კანონებს, რომელიც ეხლა მოქმედებაში არიან, ან რომელიც შემდეგ დაწესდება.

გიგლიოგრაფიული ცნობა. იბეჭდება და შემოდგომაზედ გამოვა გასასყიდათ „სამშაფვილო კონსა“ ანუ პირველ-დაწყებითი მოთხრობანი ბუნების მეცნიერებებდან, პირველი ნაწილი, შედგენილი ი. გომბაზაშვილისაგან.

მოხი თვის ანგარიში... მოძისის გამსახსნაველ-შემანახველის ამხანაგობის აღმადგინების 1874 წლის 21 მარტიდან 21-ს ივლისამდის ამხანაგობაში ირიცხება წევრად ორას ჩვიდმეტი კაცი. ა.) შემოსავალი 1.) წევრთაგან შემოტანილი საწილო ფული 1,383 მ. კ. 2.) სესხი, აღებული ამხანაგობისაგან დამფუძნებელთაგან . . . 1500 მ. 3.) სარგებელი, აღებული გასესხებულის ფულისაგან 174 მ. 30 კ. 4.) საეპრო ბანკში შეტანილის ფულის სარგებელი 16 მ. 80 კ. სულ შემოსულა 3,708 მ. 40 კ. ბ.) მასავალი 1.) მასესხებულა 2905 მ. 2.) შეტანილია ერთმანეთის ნდობის საზოგადოებაში... 150 მ. 3.) დაზარჯულა გამგეობის გასამართავად 237 მ. სულ გასულა 3,292 მ. გ.) ქასა. 1.) ფული არის საეპრო ბანკში სასარგებლოთ 100 მ. კ. 2.) ამხანაგობას ერგება სარგებელი ბანკიდან 16 მ. 80 კ. 3.) ნაღდი ფული არის ქასაში . . . 299 მ. 60 კ. სულ 416 მ. 40 კ. გასავალი არის 3,292 მ. ერთიანი ჯამი 3,708 მ. 40 კ. მამგეები: მიხეილ შადაგოვი. ბრიგოლ მსეფოვი. ს. მოძის 22-ს ივლისს 1874 წელს

ნათიცი ვეჩილის თანა-შემწე მასილი ბიორგის ძე მანაბელი კისრულობს კავკასიელი საქმეების ვეჩილობას სხვა და სხვა სამმართველოებში და უმთავრესად სენატში. აგრეთვე სპრავეების გაგზავნას. მითუელი სპრაიკისთვის უნდა გამოგზავნოთ ხუთი მანეთი. ადრესი: ვ. პეტერბურგ, Малая Садовая домъ № 8, кв. № 24.

შალაქს მთილისში მართანოვის წიგნების მალაზიაში ისყიდება მცენარეთა ლეპსიკონი. ლათინურს, რუსულს და ქართულს ენებზედ შედგენილი თ. რაფ. დ. პრისთავის-მიერ შასი ათი შაური. შალაქს მთილისში, სემინარიას ქვეშ სარდაფში ისყიდება ნამდვილი ბუნებითი ქასური ლეპსიკონი თ. რ. და ი. პრისთავებისა და სხვა მანეთის მემამულეთა ენაწებისა მეთოთაული ბოთლის ფასი მართის აბაზიდგან მანეთ ნახევრამდის.

Table with columns: რ.გ.ზ.ა., დილა, საღამ., II კ., III კ., აცხლის გეგები, შოშბა, გირჟა, მან. კაპ., მუხანდა, მან. კაპ. Rows include various categories like შოთი, აბ.-სენაკი, სამტრედია, მჭეთა, მარო, სურამი, ბეკათუბანი, ქვირია, მჭეთა, სამტრედია, აბ.-სენაკი, შოთი, შოთი, აბ.-სენაკი, სამტრედია, მჭეთა, მარო, სურამი, ბეკათუბანი, ქვირია, მჭეთა, სამტრედია, აბ.-სენაკი, შოთი.